ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №814574

ნომერი: AR1147817

თარიღი : 18.07.2013

გაცემის თარიღი : 26.07.2013

გაცნობის თარიღი : 29.07.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , შპს "ვარსკვლავი"-სა და შპს "ედელვაისი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია/ ქალაქი თბილისი , შპს "ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ , (ნაკვ.24/21) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა თხელიძე პ/ნ 01006018514
- თბილისი მოსკოვის გამზ. V კვ. კორ. 1 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ღობე–კედლის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, ჯავახეთის ქუჩა, შპს "ვარსკვლავი"–სა და შპს "ედელვაისი"–ს მიმდებარედ/ ჯავახეთის ქუჩა, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია/ შპს "ვარკეთილი 96"–ის მიმდებარედ, (ნაკვ. #24/21), მოქ. თემური პირველის, მოქ. პაატა ნუცუბიძისა და შპს "ვარსკვლავი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობე–კედლის მშენებლობის ნებართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.19.20.024.111; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, ჯავახეთის ქუჩა, შპს "ვარსკვლავი"–სა და შპს "ედელვაისი"–ს მიმდებარედ/ ჯავახეთის ქუჩა, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია/ შპს "ვარკეთილი 96"–ის მიმდებარედ, (ნაკვ. #24/21), მოქ. თემური პირველის, მოქ. პაატა ნუცუბიძისა და შპს "ვარსკვლავი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობე–კედლის მშენებლობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ღობე–კედელი უნდა განთავსდეს მოქ. თემური პირველის, მოქ. პაატა ნუცუბიძისა და შპს "ვარსკვლავი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge